

# ლიცეო-სკოლური საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ ღამათემა  
№2, 28 სექტემბერი, ორშაბათი, 2015 წელი

## წრომის ტაძრის აგების თარიღისთვის

სოფელი წრომი საშურის რაიონში, სადგურ გომის მახლობლად მდებარეობს. ეს ტერიტორია გეოგრაფიულად თრიალეთის ქედის ჩრდილოეთით არის გაშლილი. სოფელი წრომი მტკვრის მარჯვენა მხარეს არის გაშენებული. ეს ადგილი ისტორიული საფეოდალო საციციანოს შემადგენლობაში შედიოდა, მხარეს კი „გვერდისძირი“ ეწოდა. სოფელ წრომში მდებარე წრომის ტაძრის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი წერს: „მხოვრეთის ჩრდილოეთით, გორას იქით და სამწვერისის ზევით, აქს მონასტერი ყოფილადწმინდისა წრომისა, გუმბათიანი, შუენიერი, სოფლის კენჭი ჩაწყობილ დახატულ...“

ეს დიდებული ხუროთმოძღვრების ძეგლი 26 მეტრი სიგრძისა და 21 მეტრი სიგანისაა, ხოლო სიმაღლე გუმბათიანად, 15 მეტრია. ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა და კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით არის ნაშენი. ნაწილობრივ გამოყენებულია მუქი ნაცრისფერი და მოყვითალო პორფირი. ტაძარს სამი შესასვლელი აქვს (დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით). ტაძარზე რვაწახნაგოვანი გუმბათია, რომელიც ნაგებობის ცენტრშია მოთავსებული. „გუმბათი აქ კედლებს კი არ ეყრდნობა... არამედ ოთხ ცალკე მდგარ ბოძს.“ გუმბათის ოთხივე მხარეს ჯვრის მკლავებია, რომლებიც ურთიერთპერპენდიკულარულია. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთით ორსართულიანი სათავსო მდებარეობს, აბსიდების ორივე მხარეს კი ოთხკუთხა სადიაკვნე და სამკვეთლოა.

ტაძარი რამდენჯერმე დაზიანებულია და გადაუკეთებიათ XI და XII საუკუნეებს შორის და XVI-XVII საუკუნეებში. 1731 წლის 24 სექტემბერს, ლეკთა შემოსევის დროს დაინგრა გალაგანი. 1940 წლის 8 მაისს, მიწისძვრის შედეგად, დაინგრა გუმბათი, გუმბათქვეშა კვადრატების კედლები, დასავლეთისა და სამხრეთის მკლავების ცილინდრული თაღების დიდი ნაწილი, გადაიხარა დასავლეთის კედელი. მიუხედავად ამისა, ტაძრის პირველი გეგმა და კომპოზიცია უცვლელი დარჩა. 1949 წელს დასავლეთის კედლის გასამაგრებლად სპეციალური დამჭერი კონსტრუქციები შეიქმნა.

1959 წელს დასწორდა დასავლეთის გადახრილი კედელი, 1974-1975 წლებში ტაძრის გუმბათის ყელის ფუძემდებ ამოიყვანეს ტრომპები. ტაძარს დაადგეს საცდელი ხის გუმბათი.

დღეისთვის კი ტაძარი მთლიანად რესტავრირებულია. სამხრეთის ფასადზე, შუა სარკმლის მარცხნივ ქვის ფილაზე ზომით 36 სმ X 24 სმ-ზე დაქარაგმებულია ასომთავრული, სამსტრიქოვანი, 15 ასო-ნიშნისგან შემდგარი წარწერა. სწორედ ამ წარწერით ათარიღებენ ტაძრის აგებას. არსებობს სხვადასხვა მეცნიერული მოსაზრება წრომის ტაძრის დათარიღების ირგვლივ. მიმოვიხილავთ რამდენიმე მათგანს.

აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი ტაძარს 626-634/35 წლებით ათარიღებს, ნოდარ შოშიაშვილის აზრით, ტაძრის აგების თარიღი IX-X საუკუნეებს ეკუთვნის.



ბაადურ მკვდელიშვილმა კი ტაძრის მშენებლობა V-VI საუკუნეებით დაათარიღა.

1892 წელს, თეოდორ დანიას ავტორობით, გამოცა „ქრონიკების“ I ტომი, სადაც წრომის ტაძრის ზემოთ აღნიშნულ წარწერაზე ავტორი აღნიშნავს: „წრომის ტაძრის სამხრეთის კარებს ზევით ჩვენ ვკითხულობთ: „წმიდაო ეკლესიაო, სტეფანოზ ვაბატოსი (იპატოსი) შეიწყალო“. თ. თორდანიას წრომის ტაძრის ეპიგრაფიკულ ძეგლს სტეფანოს II-ს უკავშირებს, მეცნიერი წარწერის შესრულების თარიღს არ აკონკრეტებს და ისტორიული პირის მოღვაწეობას 629-663 წლებს მიაწერს.

1936 წელს გამოიცა წიგნი „ქართული ხელოვნების ისტორია“ გიორგი ჩუბინაშვილის ავტორობით, სადაც ვკითხულობთ: „ტაძრის სამხრეთ კედელზე მთავარი ფანჯრის დასავლეთით არის მოკ-

ლე სამსტრიქონიანი წარწერა ასომთავრული ქარაგმები, რაც ასე წაიკითხება: „წმიდაო ეკლესიაო, სტეფანოზ ვაბატოსი შეიწყალო“. როგორც ჩანს, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ამოკითხული ტექსტი ემთხვევა მისი წინამორბედის თეოდორ დანიას მიერ გაშიფრულ ტექსტს. რაც შეეხება სტეფანოზ ვაბატოსის ვინაობას: „ამ წარწერის ორიგინალობასა და სინამდვილეს სცნობდა ისტორიკოსი თეოდორ დანია, - აღნიშნავს გ. ჩუბინაშვილი. - მან სწორად ჰპოვა ამ წარწერაში მოხსენიებული სტეფანოზ იპატოსის იგივეობა ადაჩნესეს მომდევნო ერისმთავარ სტეფანოზ მეორესთან.“

ტაძრის აღმშენებლობის კონკრეტულ თარიღს ჩუბინაშვილი შემდგენიარად ადგენს: „ჩვენ გვაქვს საქმე ხანასთან, როდესაც სტეფანოზი ჯერ არ იყო ერისმთავრის ტახტზე ასული, ე. ი. მისი მამის - ადაჩნესეს გარდაცვალებამდე. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ხანა 626 წელსა და 634-635 წელს (ადაჩნესეს სიკვდილი) შორის“. საბოლოო დასკვნა აკადემიკოსისა კი ასეთია:

„მასადაამდ, წრომის ტაძრის აშენების დრო მოექცა ერთ ათეულ წელში... VII ს-ის 20-იანი წლების ნახევრიდან 30-ანი წლების ნახევრამდე“. წიგნში „ქართული არქიტექტურის ისტორია“, (ი. ციციშვილი) წრომის ტაძრის შესახებ ვკითხულობთ: „ტაძარზე შემორჩენილი წარწერებიდან გაიკვება, რომ ეს დიდებული ძეგლი აგებულია 626 და 634 წლებს შორის, სტეფანოზ იპატოსის დაკვეთით“.

ხუროთმოძღვრული ძეგლების სიაში, რომელშიც შესული არიან ის ტაძრები, რომლებიც სახელმწიფო დაცვას საჭიროებენ, წრომის ტაძრის აღმშენებლობის თარიღად მითითებულია „VII საუკუნე“.

1961 წელს გამოცემულ წიგნში „ამის ხეობა“, ავტორი სეკვი მაკალათია აღნიშნავს: „წრომში დაცულია ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი წრომის ტაძარი, რომელიც აგებულია მე-7 საუკუნეში“. მე-20 საუკუნის მეცნიერი ლევან ხიმშიაშვილი იზიარებს გიორგი ჩუბინაშვილის მიერ საფუძველჩაყრილ აზრს:





„წრომის ტაძარი წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების კლასიკური პერიოდის ძეგლს (VII საუკუნის დასაწყისი).“ შადვა ამიანაშვილი წიგნში „ქართული ხელოვნების ისტორია“ მოგვითხრობს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ხუროთმოძღვრულ და არქიტექტურულ სტილზე, სადაც ცალკე თავი აქვს დათმობილი წრომის ტაძრის სტილისტურ განხილვას – „წრომი, როგორც ახალი ეტაპი ქართული ხუროთმოძღვრული ისტორიის განვითარებაში“ – წრომის ტაძარი აგებულია 626 და 634–35 წლებში, ერისმთავარ სტეფანოს II-ის მიერ.“

მეცნიერი თ. სანიკიძე იზიარებს ჩუბინაშვილის აზრს წრომის ტაძრის აგების საკითხის თაობაზე და ყოველგვარი არგუმენტების გარეშე, თავის ერთ-ერთ სტატიაში წერს: „VI-VII სს-ის მიჯნაზე ქართულმა ხუროთმოძღვრებამ კლასიკურ სრულყოფას მიაღწია. ქრონოლოგიურად მოკლე დროში აშენდა მცხეთის ჯვარი და მისი ტიპის ძეგლები: წრომი, სამწევრისი, იშხანი, ბანა, რომლებიც ქართული ხუროთმოძღვრების ბჭყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ.“

1974 წელს გამოცა აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის ენციკლოპედიური ხასიათის შრომა „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“. ავტორი განმარტავს, რომ წრომის ტაძრის მთავარ სარკმელთან მდებარე წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „წმიდალ ეკლესიას, სტეფანოს ვბატოსი შეიწყაღე“. აქ სტეფანოსი ვბატოსის ტიტულით მოხსენიებულია 626 წლის შემდეგ, როდესაც მან ბიზანტიური საკარისკაცი ტიტული მიიღო. წარწერა შესრულებულია აგრეთვე 634–635 წლებამდე, სანამ ის ერისმთავრის ტიტულს მიიღებდა. ამრიგად, გ. ბერიძე იზიარებს თედო ეორდანიას და გიორგი ჩუბინაშვილის ტექსტის ინტერპრეტაციას და ეთანხმება იმ ფაქტს, რომ ტაძარი VII საუკუნეშია აგებული. თავად ამ საკითხს ახალი არგუმენტებით ამტკიცებს.

მეცნიერ ჰამლეტ მუსულიშვილის ავტორობით 1983 წელს დასტამბულ წიგნში „ქართული ძეგლის სტრუქტურა“ დაწვრილებით არის აღწერილი წრომის ტაძრის სტრუქტურა და არქიტექტურულ-ხუროთმოძღვრული სტილი. აღნიშნულ ნაშრომში, აგების თარიღის შესახებ ვკითხულობთ: „წრომის ტაძარი VII საუკუნის მეორე ოცწლეულში შეიქმნა“.

1987 წელს გამოცემულ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ XI ტომში, აღნიშნულია, რომ: „ფასადის მთავარ სარკმელთან მოთავსებული წარწერის მიხედვით ტაძრის აგების თარიღად მიჩნეულია 626–634 წლები“.

მეცნიერი ნ. ანდღულაძე ამ საკითხის შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „ტაძრის აგების ისტორია ცნობილი არ არის. ნაგებობის სამხრეთის ფასადზე ასეთი სახის ასომთავრული წარწერაა მოთავსებული: „წმიდალ ეკლესიას, სტეფანოს იპატოსი შეიწყაღე“. დადგენილია, რომ ამ წარწერაში მოხსენიებული სტეფანოს იპატოსი არის პე ქართლის ერისმთავრის ადარნესესი (604–634 წწ.), რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ ერისმთავრობდა და ცნობილი იყო სტეფანოს მეორის სახელით. ეს ის ქობულ სტეფანოსია, რომლის ღვთაებური გამოსახულება გვხვდება მცხეთის ჯვრის დიდებული ტაძრის სამხრეთ ფასადზე. წრომის წარწერაში სტეფანოსი ჯერ კიდევ არ არის ერისმთავარი. ეს პერიოდი ემთხვევა 626–634 წლებს და როგორც ფიქრობენ, სწორედ, ამ წლებში აიგო ეს შესანიშნავი ტაძარი მისივე დაკვეთით“.

1990 წელს, საქართველოს სარედაქციო კოლეგიის მეოხებით გამოქვეყნდა ენციკლოპედიური ხასიათის წიგნი „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერა“ (V ტომი), რომელშიც გაშუქებულია შიდა ქართლის თითოეული სოფლის ხუროთმოძღვრული ძეგლი და მასთან ერთად, საქართველოს ისტორიის ის მოვლენები, რომლებიც ამ ტერიტორიასთან ყოფილა დაკავშირებული. ამ მხრივ, გამონაკლისს არც სოფ. წრომი და მისი ტაძარი წარმოადგენს.

„წრომის ტაძარი მდებარეობს სადგურ გომიდან 3 კმ-ზე მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. აგებულია 626–634–35 წწ-ში“ – აღნიშნულია წიგნში. 626–634–635 წლებს ადასტურებს ისიც, რომ ქალაქ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, იმ სტენდზე, სადაც წრომის ტაძრის ექსპონატებია გამოფენილი, თეთრზე შავით წერია: „წრომის ტაძრის მშენებლობა დაიწყო 626 წ. და 634–635 წლებში დამთავრდა“. ამ აზრს იზიარებს „საქართველოს ისტორიის ნაკვეთების“ II ტომი და ივანე ჯავახიშვილიც, რომელიც წრომის ტაძარს VII საუკუნით ათარიღებს „თხზულებათ“ II ტომში. ამ კარგად დამკვიდრებულ აზრს ჰყავს ორი მოწინააღმდეგე: ნ. შოშიაშვილი და ბ. მჭედლიშვილი.


რომელთა საბოლოო დასკვნები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ნ. შოშიაშვილის აზრით, ტაძარი IX-X საუკუნეების ძეგლია. მის დათარიღებას იგი ხელმძღვანელობს ეპიგრაფიკული ძეგლით, ხოლო მჭედლიშვილი ამ ეპიგრაფიკული ძეგლის მნიშვნელობას გამორიცხავს და ახალ არგუმენტაციას უმატებს ტაძრის მოზაიკური შემკულობის სტილისტურ და მხატვრულ-არქიტექტურულ ანალიზს, რის შემდეგაც ტაძარს V-VII საუკუნეებს მიაკუთვნებს.

უკეთ გარკვევისთვის, არანაკლებ საინტერესოა ორი გარემოება: 1) ის, რომ ტექსტის თითოეული სიტყვა გამოყოფილია ერთმანეთისგან განკვეთილობის ნიშნის გარეშე და 2) ის, რომ ტექსტი დაქარაგმებულია. სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „V-VIII სს-ში განკვეთილობის ნიშნები არ გვხვდება და სიტყვები ერთმანეთისგან არ არის დაცილებული. IX საუკუნეში იხმარება განკვეთილობის ნიშნად ორი წერტილი, თუმცა, ზოგან მათ გარეშეც არის განკვეთილობა“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ტექსტი, რომელშიც სიტყვები ერთმანეთისგან გამიჯნულია ქვის ცარიელი ადგილით, არ შეიძლება მივაკუთვნოთ V-VIII საუკუნეებს და, მით უმეტეს, 626–634–635 წწ, როდესაც სიტყვები ერთმანეთისგან გაუმიჯნავად იწერებოდა. რაც შეეხება ტექსტის დაქარაგმებას, ესეც ხაზს უსვამს ტექსტის შესრულების გვიანდელ ხანას: „VIII საუკუნიდან ქარაგმის ხაზის დაგრძელება იწყება და ის მთელ სიტყვას გასდევს“. ჩვენ მიერ განსახილველი ტექსტის ქარაგმად გამოყენებულია სწორი, გრძივი ხაზი, რომელიც მთელ სიტყვას გასდევს სიგრძივად. ამდენად, ტექსტის სახიდან გამომდინარე, იგი შესრულებულია არაუადრეს IX ს-ისა.

ტაძრის მშენებლობა თარიღდება 3 ძირითადი არგუმენტით: (წინამორბედთა არგუმენტების მიხედვით) 1. ტაძრის კედლის წარწერით, რომელიც ჩვენი აზრით, გამორიცხულია. 2. ტაძრის მოზაიკური შემკულობის სტილისტური ანალიზით და 3. მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზით. ორ უკანასკნელზე საუბრობს ბ. მჭედლიშვილი, რომელიც მათ ახალ ინტერპრეტაციას უკეთებს. ეს საკითხი კი არქიტექტორთა და ხელოვანთა განსახილველია.

**მამუკა ხანიძე**  
*ხაშურის IX საჰარო სკოლის დირექტორი,  
 ისტორიკოსი*





# ოუბლიანი



## ელაზა ელაძე

\* \* \*

დღეს  
ჩემს სარკმელზე  
წვიმის ნარვლად  
წრემლმა იარა,  
ლექსი გამიჩნდა,  
ტკივილმა რომ  
იმშობიარა...  
სულში ვუცხანმა  
ამოხეთქა,  
გუბები კი არა!  
დანადებამდე  
მანამებდა  
ლექსის იარა...

## სანთილი

სკას გავყარე, ახლა ვარ ხვითო,  
მოვპარე სითბო ფუტკარს ფრთებიდან,  
წერხლოში დავინვი, გარდავისახე,  
რომ დავდგომოდი უფლოს შეგირდად...  
ლარიზი მქმნის და მყიდის ლარიზი,  
მრეხვენი, გამვლელის ხვენიით სდევს როჯა,  
გახსოვდეთ, ჩემს ალს უფლოთან მიაქვს  
თქვენი უსიტყვო, გულწრფელი ლოცვა!  
რხის კედელზე, ტაძრად თუ ნიშში  
მდუმარედ ვეკვრი მთრთოლოვარე თითებზე,  
თუ განსაწდელის მადლიდან ვიშვით,  
სწორედ, ეს არის მარხოვრის სიბრძნე...  
სკას გავყარე, ახლა ვარ ხვითო,  
სითბო გამოძევა ფუტკარის ფრთებიდან,  
ნმინდა სურნელში ვიწვალე სახე,  
რომ დავდგომოდი უფლოს შეგირდად...

ჩვენო კლარა, შენი სულივით სადა და ნაპერღოვანია ენკენისთვის  
მინურული, სამყაროსავით თვილია და ერთგული შენი შემოღობვის გზა...  
შენი ცხოვრების კიდე ერთ საამაყო ჭირნახულს მოგილოცავთ...  
შენი მართალი და უღალატო ნაბიჯების, შენი ქართველ-ქალოვის  
მრავალშამიერი ყოფილიყოს!

\*\*\*

დედამიწის ღერძი აჩქარდა!...  
გვრძობ, როგორ ვებრძვი დროს ხმელეთზე მოხვედრილი თევზით...  
ზოგჯერ მეზვებება, დღე-ღამეს შორის შუალედი ერთი უსუსური საათია...რა უნდა მოვასწრო!  
ზოგჯერ მინდა, მერცხალივით დედამიწას შევასკდე და სული ცრემლებად ჩამოვადინო  
კედელს, რომელსაც დღემდე ვერაფერი შევასმინე!...  
მინდა, პროტესტი გამოვუცხადო დროს, სივრცეს, თამაშს, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია...ადა-  
მიანებს, რომლებიც ცხოვრებას სარკის ნაკუწად აღიქვამენ და შიგ, მხოლოდ საკუთარ ტუჩ-  
კბილს და თვალებს ხედავენ...  
კმარა! მხრიდან ჩამომხსენით დედის ტვირთი, შვილის ვალი, ცოლის მანტია და საერთოდ,  
დაუშვით ფარდა და გამაძევეთ თეატრიდან, რომელმაც ასე დამდალა... მზის ქული მომეციო  
და გამიშვით უდაბნოში. სილაზე დავწერ თუ როგორ მიყვარდით და უჩემობა განანებთ, რომ  
არ გამიფრთხილდით...

ღამეს მოენატრება ჩემი კალამი, დღეს-ცრემლი, როცა პირიქით უნდა ყოფილიყო... მერე? მერე  
იქაც, თუნდაც ცრემლის ნახავით ავაგებ პატარა ქოსს, რათა შიგ თქვენი მონატრება ჩავაბუ-  
ლო!!!...

ო, არა, არა... არც ისე იოლი ყოფილა მოვალეობააყრილი სულის ტარება! -  
ვბრუნდები!...

\* \* \*

ყველგან ტაძარია,  
სადაც უფლისადაში  
ლორცვის ალვლენისას  
თვალი გენამება,  
სადაც მოყვანისთვის,  
ძნელად ნაპოვარი,  
ლოყმა, განსაყოფად  
არ დაგენანება...



## უცბობა...

უცვარს, მთელი გულით უცვარს,  
სისხლი უფერადებს ძარღვებს,  
აღნათ, სწორედ მათზე უთქვამთ  
გრძნობით ასულანო წამდე...  
უცვარს მისი ყველა ნაკვთი,  
მოსწონს ღიმილი და კდემა,  
უცვარს, გააჩნია რაჯ კი,  
მისი მონატრებით კვდება!  
თრთოლოვამორეულომა მზერამ  
გული მინდობილი დაჭრა,  
მოღის, სიყვარული მოღის,  
ტუჩის გადმოღენილო მაჭრად...  
თავზე დაგეგრევა ზურა,  
მათ რომ შეუძლოო ხელი...  
ერთად ორი გული ფეთქავს  
და მთელი სამყარო მღერის!

\* \* \*

სევდის სამშობლოში დავიბადე,  
წრემლით მოვიბანე მკერდი,  
მხრებზე არტახები გადამაკრეს,  
სული შემბოჭეს ღვედით.  
ქარი „იავნანით“ მისწორებდა  
შუბლზე, სველი ფოთლის საფენს,  
ზაგეს ტკივილის დროს მანვეთებდნენ  
წრემლში შეზავებულ ნაღველს...  
პოი, წრემლის ტბაო, იალქანზე  
ისევ შენმა ტალღამ დამსვა,  
ჩემი მამულისდა შესანიშნავად  
ერთი ამოსუნთქვა დამრჩა!...



# ღებოეცა

გიორგი რუბინიძე დაიბადა 1994 წლის 5 აპრილს, ქალაქ ხაშურში. სწავლობს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მიმართულება და სამართლის ფაკულტეტის მეორე კურსზე, ისტორიის მიმართულებით. არის ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანის“ წევრი და ახალგაზრდული ქორეაქტორი. წერს მსმებს, ჩანახატებს.

## გოლგოთის გზა – ანუ „წიყამუბთან რომ მოჰკლავს ილია, მაშინ დასრულდა ეკობა დიდი“



- დედა, ცა ახლა რა ფერია?
- ნისლისფერია, ჩემო საყვარელო, ცაც და ზღვაც.
- დედა, რატომ მოკლეს ილია?
- სიმართლისთვის მოკლეს, ნათლისთვის მოკლეს, შვილო.
- დედა, ცა მას შემდეგ არის ნისლიანი?
- ზეცა მაშინ ხდება ნისლისფერი, როცა ქართველი ქართველს ესვრის!
- ილია, რომ არ მოეკლათ, მაშინ რა მოხდებოდა?
- ცა იქნებოდა ნათელი, მზე – ისეთი, როგორც არასდროს და სამშობლოც ისე გვეყვარებოდა, როგორც არასდროს...
- მისი სული ხომ ახლა ზეციდან გვიღი-

მის?

- გვიღიმი, შვილო...
- მან გოლგოთა იხილა?
- იხილა...
- მაინც, რატომ მოკლეს ილია?
- უნდა, მოწყენილი ქვეყანა გაღიმიებული ენახა. სულის მხნეობა და დიდი სიყვარული სურდა, ეგრძნო ქართველ ერში. ამიტომ მოკლეს!

ბავშვი გაოცებით შესცქეროდა ქალის სილუეტს, რომელიც მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის საფლავზე გამუდმებით, დღედაღამ გლოვობს. ვერ გაეგო, რატომ უნდა მოეკლათ ილია? დედამ უთხრა – სიმართლისთვის... ნუთუ, სიმართლე ასე მტანჯავს? ნუთუ, სიმართლე ისეთი დაუნდობელია, როგორც ის ტყვია, ილიას რომ ესროდეს...

მთაწმინდა... მთა წმინდა და უღრუბლო, უსასრულოდ ღრმა ცა ბავშვის სულს სევდას გვრიდა, აჭრულებდა ტანთ პატარას და გაოცებით დასცქეროდა საფლავს.

„აქ განისვენებს... იმ დღეს ხომ იგი ცად ამადღდა უფალთან...“

მას შემდეგ, მყინვარწვერიც ისეთი სევდიანია, როგორც არასდროს. მას შესცქეროდა ილია და სამშობლოს ბედი აწუხებდა...

და მაინც, რატომ მოკლეს იგი?!

ყველაფერი, ალბათ, თერგადეულობით დაიწყო, იმ ვნებათაღელვით, თერგის სწრაფ და სულისშემძვრელ დინებას რომ ახლავს.

ილიას სულში მიჰყვარე და დაუდგრომელი თერგი აბობოქრდა!..

დალია თერგი ილიამ...

თერგით ბობოქარი გახდა მისი სულისკვეთებაც. ახალი განათლებით, ახალი ძალით სურდა, შერკინებოდა მტერს.

პეტერბურგში, რუსეთის დიდებულ ქალაქში განათლდა ილიას გონება, იქ, სადაც ბნელიც ბევრი იყო და ნათელიც, მაგრამ მან სამშობლოსთვის, თავისი ხალხისთვის, თერგისთვის შეძლო და შეითვისა საუკეთესო და განდევნა ის, რაც არ სჭირდებოდა, ერის კეთილდღეობისთვის არ გამოადგებოდა და კვლავ სამშობლოსკენ გამოემართა განათლებული და მიზანმიმართული.

ილია ჭავჭავაძე სამშობლოს დაუბრუნდა სიყვარულით გულანთებული ქართველების გასაერთიანებლად!..

და მაინც, რატომ მოკლეს ილია?!

ამაზრუნე ვნებათაღელვა დაიწყო, – ეროვნული დეგრადაცია... 1907 წელი, 30 აგვისტო, წიწამური... წიწამურთან მოკლეს ილია! რისთვის? ვინ?

ქართველი ერის მტრებმა მოკლესო. მერე და, ვინ იყვნენ ეს მტრები, ისინი, ხომ თავად იყვნენ ქართველები. შარავანდები ღვთისგან მომადლებული ჰქონდა ილიას გვირგვინად, თუმცა, ეკლის გვირგვინიც დაადგეს!

30 აგვისტოს მოკლეს ილია ჭავჭავაძე!..

9 სექტემბერს დაკრძალეს „მთაწმინდაზე“... მიწა მიაყარეს უგვირგვინო მეფეს...

- \*\*\*
- დედა, რისთვის მოკლეს ილია?
  - სიმართლისთვის!
  - ცა მაშინაც ნისლიანი იყო?
  - მაშინ ცისარტყელა იყო გაბრწყინებული, წუთისოფლის უსასრულობის ნიშანი, უფლის მარადიული პირობა და დასტური...
  - ილიამ თერგი ნახა?
  - ილია თვითონ იყო თერგი...
- თერგმა დაიტირა ილია და დღემდე მირბის ბობოქარი, მარტოსული, დაუდგრომელი, ამაყი... უსასრულობას ეძებს და თავისუფლებას ღამობს, ჩქარობს, ესწრაფვის...
- ილიამ გოლგოთა იხილა?
  - იხილა!!!

# თარგმანი

## გლადიოზი კანოპიძე მოკვდი ნელა

შობა ღამით, ფაქტიურად უკვე წმინდა ღამეს, ჩემი ცოლის – ოლგას მობილური ტელეფონი აწკრიალდა, ოლგამ უპასუხა. რეკავდა მისი საუკეთესო მეგობარი – ისიც ოლგა, რომელმაც ქვითინით გაამცნო, რომ მისი კატა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, სიკვდილის პირას მყოფი, უკვე სულს დაფავდა.

ოლგა ცხოვრობდა ფრიდრიხ ჰაინხე, თავის ქალიშვილ მელანისა და საკმაოდ ხანდაზმულ ხვად კატა იოჰან ვოლფგანგთან ერთად. ეს სახელი მას შეარქვეს ყველა დროის უდიდეს გერმანელ პოეტთან თითქოსდა მსგავსების გამო, თუმცა მე კი, კაცმა რომ თქვას, ამ მსგავსებას მაინც და მაინც ვერ ვამჩნევდი. კატა თავისი სიცოცხლის მთელი წლის კვალბაზე საკმაოდ მძიმედ იყო ავად. ასაკობრივი სისუსტის, ეპილეფსიის და დიაბეტის გამო ის პერმანენტულად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებოდა. ყველასთვის ცხადი იყო – იოჰანი კვდებოდა, მაგრამ კვდებოდა ძალიან ნელა. თითქმის მომაკვდავი დაბორილობდა ოთახიდან ოთახში, არახუნებდა ყოველ კუთხეში, სტუმრებს მადლა, ეხლერებოდა ძირს ხალხსაზე, თანაც გამოსცემდა კატისთვის უხვეული ხმებს, ხითხითებდა, ბუზღუნებდა. მისი პატრონი ოლგა დღეში ორჯერ ინსულინის ინექციებს უკეთებდა. კატა კი, ამ დროს, უკანასკნელ ძალას იკრებდა, რათა მკურნალი ხელი დაეკბინა.

იოჰან ვოლფგანგის ნელი სიკვდილი, მართლაც, რომ ძნელი საყურებელი იყო და დიდ სულიერ ტკივილს აყენებდა ოლგას და მის ქალიშვილს. როგორც ბრუკ ვილისი, ამავე სახელწოდების ფილმში, კაცაც განასახიერებდა გმირს და სურდა კიდევ, საზოგადოების თვალში წამებულ გმირად წარმოჩენილიყო. ნაცვლად იმისა, რომ სახლში, სადმე ბნელი კუნჭული მოეძებნა, დრუნჩი კედლისთვის მიეზღინა და დაეძახა „მეტი სინათლე“ ან თუნდაც, უკანასკნელად წამოეკანკლა და ღირსეულად დაეხუჭა თვალები, იოჰან ვოლფგანგი მოადგებოდა ხოლმე ოლგას და მის ქალიშვილს, სულში ჩამწვდომი მხურთხელობა მათ თავისი დიდხონი მუქი თვალებით, თან ადებინებდა და ქვეშ ისვენებდა.

შობის გვიან ღამეს კი, ჩანს, სიკვდილმა უკვე ღრმად ჩააჭლო კბილები ყელში კატას, – ყვებოდა ოლგა, – ის გიჟით დარბოდა აღმა-დაღმა მთელ ბინაში, ცდილობდა, შემხტარიყო ფანჯრის რაფაზე, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა და ძირს ეხლერებოდა, ბოლოს შევარდა სამზარეულოში, კვლავ წაიქცა და თავი ღურთა მშრალი საჭმლით სავსე ჯამში და... ვეღარ წამოღვა, თუმცა ისევ, ჯერ კიდევ სუნთქავდა. ოლგამ ამის ატანა უკვე ვეღარ შეძლო. გარდა ამისა, მან ვერ მოიკვლია ბერლინში ცხოველთა სწრაფი დახმარების სამსახური, რომელიც შობა ღამეს ღია იქნებოდა. თან მისი ინტერნეტიც გამორთული იყო. ოლგა ჩემს ცოლს დახმარებას სთხოვდა. ცხადია, ამგვარ „შეჭირვებულ“ სიტუაციაში უარის თქმა შეუძლებელი იყო. ჩემმა ცოლმაც მოიძია სადღაც გადაკარგულში – მარცანში – ცხოველთა სწრაფი დახმარების სამსახური, გამოიძახა ტაქსი, გაუარა თავის მეგობარს ფრიდრიხ ჰაინხე, ჩაისვა კატა მანქანაში და მარცანისკენ გაემშურა.

ცხოველთა სამკურნალო კლინიკაში მხიარული საშობაო განწყობილება სუფევდა. მოსაცდელი ოთახი სავსე იყო ცხოველებით, რომლებსაც ტიპური საშობაო ტრამეები და ჭრილობები აღენიშნებოდათ. ორ მომხიბლავ კნუტს, რომელთაც საშობაო ნაძვის ხიდან პირი ღამეით ჩაეკოკლოხინებინათ, პირიდან ჭრელი კვანძები გამოჩნდებოდა და როცა მათი

პატრონი ღამეცის ამოდრობას შეეცადა, ორივე საწყალობლად აღნავლდა. ჩანს, ღამეცა მათ შიგნულში რაღაც მნიშვნელოვან ორგანოებს გამოეღო. კატების გარდა, აქ თუთიყუშებიც იყვნენ, რომლებსაც საშობაო ნაძვის ხის სანთლებისგან დამწვრობა მიეღოთ, აქ, ასევე ჩამრგვალებული ზღვის გოჭებიც ისხდნენ. სავარაუდოდ, მათ რაღაც დიდი, ბრტყელი და კვადრატული შესანსლეს და რენტგენულ გამოკვლევას საჭიროებდნენ. ზღვის გოჭების გვერდით მოზრდილი ფენოტიპიანი ძალი დაყუნცულიყო, ეტყობა, ნაძვის ხის სამაგრზე უხერხულად დააბიჯა და ფეხიც მოიტეხა.

მარცანში ხანგრძლივმა მგზავრობამ იოჰან ვოლფგანგზე სასიკეთოდ იმოქმედა. როგორც ეს ბევრი ავადმყოფის შემთხვევაში ხდება ხოლმე, ექიმების დანახვაზე, იოჰანი უკეთ გახდა. ქალბატონმა ექიმმა ის გასინჯა და თქვა, რომ საქმე არც ისე ცუდად არის. ეტყობა, შაქარმა ცოტა აიწია და სწორი მკურნალობის შემთხვევაში – უმჯობესია სტაციონარული მკურნალობა – კატა უპრობლემოდ ერთ ას წელიწადს კიდევ გაქნავდა. კატის გასინჯვა ას ორმოცდაათი ვერო დაჯდა, მედიკამენტები – ას ორმოცი. ხოლო ყოველი თითო დღე სტაციონარში, დამატებით ორმოცდაათი ვერო ღირდა.

– „არ შეგიძლიათ კატას რაიმე მომაკვდინებელი ნემსი გაუკეთოთ?“ – გულახდილად შეეკითხა ჩემი ცოლი ექიმს, როცა მისი მეგობარი კატასთან ერთად ცოტა ხნით გარეთ გავიდა, – „ის ხომ ოჯახს უკანასკნელ სახსრებს სწოვს და თანაც თავისი ნელი სიკვდილით ირგვლივ უბედურების, გლოვის და დეპრესიულ განწყობას ქმნის. ეს, მართლაც, წამებაა, როგორც პატრონისთვის, ასევე, თვით კატისთვისაც. კატა რომ მეტყველი იყოს, ასეთ სიცოცხლეს, თვითონაც ნებაყოფლობით სიკვდილს ამჯობინებდა“. ამის გაგონებაზე ექიმი საშინლად აღშფოთდა.

– „როგორ ბედავთ!“ – აყვირა იგი, – „მაშ, ჩვენ ყველა ცოცხალი არსება უნდა მოვაკვდინოთ“, ვინც თქვენს მეგობარს და კიდევ ვიღაც-ვიღაცებს უსიამოვნებას ანიჭებს და დეპრესიაში ავდებს? თქვენი ლოგიკით, ყოველ მეორე ცხოველს, რომელიც ჩემს კლინიკაში შემოდის, სიცოცხლე უნდა მოვუსწრაფოთ? მე მკვლეელი არ ვარ, მე ექიმი ვარ. ჩემი პროფესია მკურნალობაა და არა – განადგურება. ყოველი სიცოცხლე ბუნების საოცრებაა და მისი წართმევა(ც) მხოლოდ ბუნებას ძალუძს. მერწმუნეთ, ეს კატა ჩვენ ყველას მოგვინებებს. მხოლოდ მის ორგანიზმში შაქრის დონეს სჭირდება მუდმივი ყურადღება და კონტროლი“, – თქვა ექიმმა ოპტიმისტურად და გამოთხოვებისას თვალშიც ჩააპაჭუნა.

გამთენიისას ორივე ოლგა იოჰან ვოლფგანგთან ერთად, შობაღამის ქალაქის ჩაბნელებული და უთოვლო ქუჩებით შინ, ფრიდრიხ ჰაინხე გაემგზავრნენ. ქალები დუმდნენ. ერთი ფიქრობდა, თუ როგორ ეთქვა დედისთვის, რომლისგანაც სწორედ წინა კვირას ისესხა ფული, რომ ახლა ჯიბეში ერთი გროშიც აღარ ედო. მეორე კი ფიქრობდა, როგორ დაერწმუნებინა ქმარი, რომ მან მთელი შობის წმინდა ღამე კატასთან ერთად, მარცანში, ცხოველთა სამკურნალო დაწესებულებაში გაატარა. კატა კი ამგვარი ფიქრებით თავს არ იწუხებდა. ის კრუტუნებდა და მთელი გზის მანძილზე სასაცილო ბგერებს გამოსცემდა: ფრუტუნებდა, ღრუტუნებდა, ბუტბუტებდა, ცხვირს აცემინებდა და (შემდგომი) ხანგრძლივი, ბედნიერი ცხოვრებისთვის ემზადებოდა.

გერმანულიდან თარგმნა 6069 ლიტერატურული